



- [მთავარი](#)
- [მულტიმედია](#)
- [ბლოგები](#)
- [ჩვენ შესახებ](#)
- [დაგვიკავშირდით](#)

- [ახალი ამბები](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [სამართალი](#)
- [კონფლიქტი](#)
- [საზოგადოება](#)
- [სპორტი](#)
- [კულტურა](#)

28/02/2013 16:02

Like 29

1

Tweet 0

ახალი ამბები

„მწვანე ალტერნატივა“ ნადირობის კვოტებს ყალბ მონაცემებად მიიჩნევს

13.01.2012

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილ ნადირობის კვოტებს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ყალბ მონაცემებად მიიჩნევს. „არცერთ სახელმწიფო, თუ სამეცნიერო უწყებას სანადირო ცხოველთა სახეობების აღრიცხვა არ ჩაუტარებია“, - განუცხადა „ლაივპრესს“ ასოციაციის ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორმა, ექსპერტმა ირაკლი მაჭარაშვილმა. მისივე განმარტებით, „მოსანადირებელი ინდივიდების რაოდენობის დაკანონება იმ ტერიტორიების დასახელების გარეშე, სადაც შესაძლებელია ამ ცხოველების მოპოვება, აბსურდს წარმოადგენს. მაგალითად წერია, რომ 2012 წლის განმავლობაში შეიძლება მოიკლას 417 შველი. სად, რომელ ტერიტორიაზე? ამ 417-დან, რამდენის მოკვლა შეიძლება ალაზნის



ხეობაში, რამდენის ძირულას ხეობაში, რამდენის ალგეთის ხეობაში? გაურკვეველია. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაუშვას ნადირობა იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე სახეობებზე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გამოაქვეყნებს ყალბ მონაცემებს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების სანადირო კვოტებთან დაკავშირებით“, - აცხადებს მაჭარაშვილი. ექსპერტის თქმით, 2011 წლის 28 ოქტომბერს „მწვანე ალტერნატივამ“ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან მოითხოვა საჯარო ინფორმაცია სანადირო

სახეობების შესახებ, კერძოდ, სანადირო სახეობების აღრიცხვის შედეგების მოწოდება, ასევე ინფორმაცია, თუ რა მეთოდით, როდის [რა პერიოდში], რომელ ტერიტორიებზე ჩატარდა პოპულაციების კვლევა და რომელი სამეცნიერო ორგანიზაცია/ექსპერტები მონაწილეობდნენ ამ კვლევაში. ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, საჯარო ინფორმაციაზე პასუხი ასოციაციას დღემდე არ მიუღია. შეგახსენებთ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა ნადირობა-თევზჭერის სეზონის ვადები და კვოტები დაამტკიცა. ცვლილებები, რამდენიმე ბრძანებაში შევიდა, კერძოდ, ”ნადირობა და თევზჭერის დაწყების და დამთავრების თარიღების” დამტკიცების თაობაზე მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №30 და ”ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისთვის დაშვებული თარიღისა და მოწყობილობების ჩამონათვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის №07 ბრძანებაში. ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სახეობაზე ნადირობა დაშვებულია კონკრეტულ ვადებში - მაგალითად, არჩვზე ნადირობა დაშვებულია, 15 დეკემბრიდან - 1 მარტამდე, კურდღელზე 1 სექტემბრიდან - 1 თებერვლამდე, მურა დათვზე 1 ნოემბრიდან - 1 იანვრამდე და სხვა. ნადირობა აკრძალულია დათვის ერთ წლამდე ბელზე და დათვის მდებარე ინდივიდზე, რომელსაც ერთ წლამდე ბელი ჰყავს. ასევე დამტკიცდა, 2012 წელს ნადირობის სეზონზე ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი ობიექტის მოპოვების კვოტები. ნუტრია - 194 ცალი, მაჩვი - 168 ცალი, ტყის კვერნა - 157 ცალი, ქვის კვერნა - 167 ცალი, მგელი - 120, ტურა - 1453, მელა - 162, ტყის კატა - 77, გარეული ღორი - 189, შველი - 417, ენოტი - 96, ხოხობი - 416, კაკაბი - 713, დურაჯი - 50.

Like 29

1

Tweet 0

ახალი ამბები

[„გამჭვირვალობას“ და ზუგდიდის ხელისუფლებას შორის მემორანდუმი გაფორმდა \[Video\]](#)
[პრეზიდენტის პარლამენტის მიერ დანიშვნის საინიციატივო ჯგუფმა ხელმოწერების](#)